2023 წლის პირველი კვარტლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

/2022 წლის 11 დეკემბერი - 2023 წლის 31 მარტი/

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, 2022 წლის 11 დეკემბრიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

2022 წლის 11 დეკემბრიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის **21** მოთხოვნა, საიდანაც **19** შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო **2** შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან მოთხოვნილ ინფორმაციებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არ ფლობდა.

შემოსული მოთხოვნების რაოდენობა



საჯარო ინფორმაციაზე უარის გასაჩივრება

2022 წლის 11 დეკემბრიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე, მიიღო 2 გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა

2022 წლის 11 დეკემბრიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სამსახური ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 მარტის №07 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტს“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა

სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დისციპლინური წარმოება არ ჩატარებულა არცერთი თანამშრომლის მიმართ.

ხარჯები

- ✓ საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი (დოკუმენტები მოთხოვნილი და გადაცემული იქნა ელექტრონული ფორმით).
- ✓ არ წარმოშობილა გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი.

გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლის ვინაობა

2022 წლის 16 მაისიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - დავით ყარაშვილი. შესაბამისად, სწორედ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების/გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც - office@pdps.ge და foi@pdps.ge.

საჯარო მონაცემთა ბაზები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- ✓ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულია ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი (https://catalog.pdp.ge/). ამავე ვებგვერდზე განთავსებულია გადაწყვეტილებების რეესტრი (https://personaldata.ge/ka/decisions), სადაც გადაწყვეტილებები გასაჯაროებულია მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.